14/07/2010 N101/01

საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

   ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
   ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
   გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
   დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
   ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;
   ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ იქნეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე. საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ.

3. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გ. ქადაგიძე